სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება № 43

დაბა შუახევი 10.05. 2022 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დირექტორის **მერაბ დავითაძის** სახით (შემდგომში `შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „ლეომოტორსი“, (შემდგომში `მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი საბითუმო გაყიდვების დირექტორის **გოჩა პეტრიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც `მხარეები~, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 საბურავების შესყიდვა (CPV – 34300000).

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსაწოდებელი საქონლის აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1520.00(ერთიათას ხუთასოცი და 00 თეთრი)** ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს და კოორდინაციას განახორციელებს შუახევის სოციალური სერვისების ცენტრის დირექტორი **მერაბ დავითაძე**

3.2. კორდინატორის ფუნქციებია:

3.2.1 მისაწოდებელი და/ან მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

3.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2022 წლის 10 ივნისის ჩათვლით (აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაიზარდოს არაუმეტეს 10 კალენდარული დღით) ერთჯერადად,

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.3. გარანტია გავრცელდება შესყიდვის ობიექტზე სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50000 კმ. გარბენზე.

4.4.მიმწოდებული იღებს ვალდებულებას საქონლის საგარანტიო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის ან/და ნაკლის აღმოფხვრა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ან შეცვალოს ახალი შესყიდვის ობიექტით, - შემსყიდველის

მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

4.5. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წუნდებული საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში მიტანისას.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

6. ანგარიშსწორება

6.1 მიმწოდებელმა შემყიდველს ანაზღაურებისათვის უნდა წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ანგარიშ-ფაქტურა; ზედნადები.

ბ) საბოლაო მიღება ჩაბარების აქტი (მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის)

6.2. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

6.3. გადახდის ფორმა - უნაღდო.

6.4. ანგარიშსწორება განხორციელდება 6.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვინეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

7.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია.

7.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირობებით;

7.3 მიმწოდებელი უფლებვამოსილია:

7.3.1 მიიღოს მიწოდებული საქონლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.4.2 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს `შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პარობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულებაში პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,02 % პროცენტის ოდენობით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 0.1% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას დაცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15 სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა.ი.პ. „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი“ მის დაბა შუახევი რუსთაველის № 61 ს/კ 447861412 სახელმწიფო ხაზინა მეილი: shuaxevi.socmomsaxureba@gmail.com დირექტორი: მერაბ დავითაძე Merab Davitadze Подписано цифровой подписью: Merab Davitadze Дата: 2022.05.10 15:10:01 +04'00'	**შპს „ლეომოტორსი“,,** საიდენტიფიკაციო კოდი: 445448917 ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE20TB7537236020100005 _____ *დირექტორი* *გოჩა პეტრიძე*

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 43 ხელშეკრულების

დანართი #1

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთ.ფასი
1	საბურავი R16c 185/75	8	190	1520
	სულ ჯამი			**1520,00**

„შემსყიდველი“ **„მიმწოდებელი“**

ა.ი.პ. „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი“ მის დაბა შუახევი რუსთაველის № 61 ს/კ 447861412 დირექტორი: მერაბ დავითაძე	**შპს „ლეომოტორსი“,,** საიდენტიფიკაციო კოდი: 445448917 ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ ***დირექტორი*** ***გოჩა პეტრიძე***

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა შუახევი 10.05. 2022 წელი

ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, 2022 წლის 10 მაის გაფორმებული № 43 ხელშეკრულებაში მითითებულ მომსახურებასთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა.ი.პ. „შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი“ მის დაბა შუახევი რუსთაველის № 61 ს/კ 447861412 სახელმწიფო ხაზინა მეილი: shuaxevi.socmomsaxureba@gmail.com დირექტორი: მერაბ დავითაძე	**შპს „ლეომოტორსი“,,** საიდენტიფიკაციო კოდი: 445448917 ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ ბათუმი ფრიდონ ხალვაშის 10 ბ საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE20TB7537236020100005 _____ *დირექტორი* *გოჩა პეტრიძე*